მესამე მარცხი

კუიბიშევი "დინამოს" სტადიონი. 19 მაისი.

"კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) – "დინამო" (თბილისი) 2:1 (1:0).

"კრილია სოვეტოვი": სოკოლოვი, მაიოროვი, სარიჩევი, კაპსინი, ვალკოვი, ფიოდოროვი, საველიევი, მანიშინი, ჟუკოვი, სახაროვი, კიკინი.

"დინამო": კოტრიკაძე, პეტრიაშვილი, რეხვიაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ილიადი, იამანიძე (ხართიშვილი), დათუნაშვილი, ბარქაია, ხუციშვილი, მესხი.

მსაჯი ა. მენშიკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 2:0 "დინამოს" სასარგებლოდ.

თბილისელებს უკვე მესამე მატჩი წააგო გასვლაზე. ზედიზედ ჩატარებულ ამ 3 შეხვედრაში გუნდმა აიღო 1 ქულა. 5 ქულა პასივშია.

კუიბიშევის მატჩისთვის დინამოელთა მწყობრს დაუბრუნდა მარცხენა გარემარბი მესხი. ტრავმის შემდეგ მინდორზე გამოსვლის საშუალება მიეცათ ცხოვრებოვს და ხუციშვილს. ამით გუნდი, რა თქმა უნდა, გაძლიერდა, მაგრამ თამაშს ეს დიდად არ დასტყობია. "კრილია სოვეტოვმა" შეძლო უპირატესობის მოპოვება და მიაღწია თავის პირველ გამარჯვებას მიმდინარე ჩემპიონატში.

დინამოელთა დამარცხებაში გარკვეული როლი ითამაშა პირველმა გაშვებულმა გოლმა. საველიევის მიერ დარტყმული სრულიად იოლი ბურთი ხელში ვერ დაიჭირა კოტრიკაძემ. დაუგდო ახლოს მყოფ კიკინს და ამ უკანასკნელმა გახსნა ანგარიში – 1:0.

მეორე ტაიმის დასაწყისმა ახალი მარცხი მოუტანა სტუმრებს: "კრილია სოვეტოვის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჟუკოვმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში – 2:0.

დარჩენილ დროში დინამოელებმა მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს (მესხმა 79-ე წუთზე) და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

"ლელო", 27 მაისი, 1966 წ.